



ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 547

7 ოქტომბერი
“—” 2022 წ.

ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა №5, №5ა, №9-ში, მოსკოვის გამზირ №31 ა-ში, (ნაკვეთი №7/29), (ნაკვეთი №7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041) არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.11.007.019; №01.17.11.007.602; №01.17.11.007.009; №01.17.11.007.006; №01.17.11.007.008; №01.17.11.007.036; №01.17.11.007.007; №01.17.11.007.054; №01.17.11.007.055; №01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5 ოქტომბრის № 22.1556.1684 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

- დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა №5, №5ა, №9-ში, მოსკოვის გამზირ №31 ა-ში, (ნაკვეთი №7/29), (ნაკვეთი №7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.17.11.007.019; №01.17.11.007.602; №01.17.11.007.009; №01.17.11.007.006; №01.17.11.007.008; №01.17.11.007.036; №01.17.11.007.054; №01.17.11.007.055; №01.17.11.007.065) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01222773430-67 (№01222623648-67, №0122249210-67, №01221833-67, №012216032-67, №01220743412-67, №01220403035-67, №012135053-67, №0121216296-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. წინამდებარე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება მტკიცდება და შემდგომში განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისში, გორგი მდივანის ქუჩა N5, N5ა, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041),
არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N01.17.11.007.019;
N01.17.11.007.602; N01.17.11.007.009; N01.17.11.007.006; N01.17.11.007.008;
N01.17.11.007.036; N01.17.11.007.007; N01.17.11.007.054; N01.17.11.007.055;
N01.17.11.007.065)და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

მრავალფუნქციური კომპლექსის

განაშენიანების რეგულირების გეგმის

გეგმარებითი დავალება

თბილისი

2022წელი

გეგმარებითი დავალების შინაარსი

1.	გეგმარებითიდავალებისგაცემისაფუძველი	3
1.1	ტერმინთა განმარტება	3
1.2	სამართლებრივისაფუძვლებიდაგანცხადებისრეკვიზიტები	3
1.3	ამოსავალიპირობები	5
2	ტერიტორიისსამშენებლოგანვითარებისზოგადიპირობები, მოთხოვნებიდარეკომენდაციები	7
2.1	გასათვალისწინებელი ქალაქიმშენებლობითისტანდარტები	7
2.1.1	გასათვალისწინებელ ტექნიკურეგლმენტები	7
2.2	ტერიტორიისდახასიათება	7
2.3	შენობა-ნაგებობისარქიტექტურულ- კომპოზიციურიგადაწყვეტადაკავშირიმიმდებარეგარემოსთან	8
2.4	სივრცითმოცულობითიგადაწყვეტა; მიწისნაკვეთზეარსებულიშენობა- ნაგებობებისდაწყვეტადაგადატანა, ანმათისივრცით-გეგმარებითიმოწყობისშეცვლა	9
2.5	მიწისნაკვეთზეშენობა- ნაგებობათაგანთავსებისპირობებიდამაქსიმალურისიმაღლებისგანსაზღვრა	9
2.6	მოთხოვნებიიმფიზიკურიდაიურიდიულიპირებისუფლებებისდაცვაზე, რომელთანცემურებასაცეხებატერიტორიისსამშენებლოგანვითარება (საკადასტროერთეულებისგაერთიანება-შერწყმაახალისერვიტუტებისწარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივიგანათება, ჩაუზედავობადასხვა)	10
2.7	ტერიტორიაზეარსებულიმწვანენარგავებისშენარჩუნება, ტერიტორიისკეთილმოწყობადაგარემოსდაცვისპირობებისგანსაზღვრა	11
2.8	მშენებლობისნებართვისგაცემისადასანებართვოპირობებისშესრულებისსაჯაროობა	12
2.9	ტერიტორიისდამისიგეგმარებითიარეალისსაინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტოდასოციალურიინფრასტრუქტურულყოფა	12
3	ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისპარამეტრები;	13
3.1	საპროექტოტერიტორიისარეალი	13
3.2	არსებული ქალაქიმშენებლობითი პარამეტრები	14
3.3	დასაშვებიფუნქციურიზონისახეობები	15
3.4	განაშენიანებისრეგულირებისხაზები	17
4	განაშენიანებისრეგულირებისგეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლადწარმოსადგენიდოკუმენტაციისჩამონათვალი	17

1. გეგმარებითი დავალებისგაცემის საფუძველი

1.1 ტერმინთა განმარტება

დოკუმენტი გამოყენებული ტერმინები განმარტებულია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებულ „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების თაობაზე“ ტექნიკურ რეგლამენტში, რომლის მიხედვითაც ძირითადი ტერმინები, გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა, განიმარტება შემდეგნაირად:

გეგმარებითი დავალება – დაგეგმის უფლებამოსილების მქონე საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უწყებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების ერთობლიობა, რომლებიც ადგენს დაგეგმვის ამოცანებს, პარამეტრებს და ტერიტორიულ ფარგლებს, აგრეთვე დაგეგმვის და მისი განხორციელების ეკოლოგიურ, ტექნიკურ, საორგანიზაციო და სხვა პირობებს;

განაშენიანების რეგულირების გეგმა – ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც დასახლებათა ტერიტორიებისთვის ადგენს მიწათსარებელობის ზონებს (ქვეზონებს) ან/და აზუსტებს ცალკეული გეგმარებითი ერთეულების, განაშენიანების არქიტექტურულ-გეგმარებით და სივრცით-მოცულობით მახასიათებლებს, შენობების განთავსებას, მათ გეგმარებით პარამეტრებს; აზუსტებს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების ქალაქთმშენებლობით მახასიათებლებს, რელიეფის ორგანიზებას, ტერიტორიების კეთილმოწყობასა და გამწვანებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფას.

1.2 სამართლებრივისაფუძვლები და განცხადების რეკვიზიტები

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლები

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი (68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტი);
2. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

- საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები (მე-9
მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტები);
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ
თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს
დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების „შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილება;
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 5
ოქტომბრის N22.1556.1684 განკარგულება;
6. წინასაპროექტო კვლევა;
7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაგარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი -
01222783387 (05/10/2022);
8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს წერილი -01222783324 (05/10/2022);

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სამართლებრივი
საფუძვლები

კანონი

1. „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების შესახებ“;

განაშენიანების რეგულირების გეგმის/გეგმარებითი დავალების შემუშავების სახელმძღვანელო
სამართლებრივი დოკუმენტები

საქართველოს კონსტიტუცია

კანონი

1. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
5. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობითი საფუძვლების
შესახებ“;
7. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“;
8. „საავტომობილო გზები შესახებ“ საქართველოს კანონი.

მთავრობის დადგენილება/მინისტრის ბრძანება

1. „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების
რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის
2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დაბტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი -
დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

- დებულებები;
2. „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილება;
 3. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილება;
 4. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N51 დადგენილება;
 5. „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N1-1/251 ბრძანება;
 6. „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილება;
 7. „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის N4173 დადგენილება;
 8. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
 9. „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილება;
 10. „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილება.

1.3 ამოსავალიპირობები

განცხადების რეკვიზიტები

განცხადება	0121216296-67 - 04.08.2021 012135053-67 - 16.12.2021 01220403035-67 - 09.02.2022 01220743412-67 - 15.03.2022 012216032-67 - 09.06.2022 01221833-67 - 02.07.2022 0122249210-67 - 06.09.2022 01222623648-67 - 19.09.2022 01222773430-67 - 04.10.2022
------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

განმცხადებელი	თემურაზ ცავა
ობიექტის მისამართი/ადგილმდებარეობა	ქ. თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა, N5, N5ა, N7, N9, N11; გამზირი მოსკოვი , N31ა , (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალური ისანი-სამგორი, (ნაკვ-07/041) და მიმდებარედ დაურეგისტრირებელი ტერიტორია
მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდები	Nº01.17.11.007.019; 01.17.11.007.009; 01.17.11.007.008; 01.17.11.007.036; 01.17.11.007.054; 01.17.11.007.065; 01.17.11.007.006; 01.17.11.007.055; 01.17.11.007.007; 01.17.11.007.602
ფუნქციური დანიშნულება	რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 27074 კვ.მ. დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ჯამური ფართობი: 2085 კვ.მ;
ფუნქციური გამოყენება	საცხოვრებელი კომპლექსი
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, საოფისეფართები, სარეკრეაციო სივრცე.
განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონა	პერიფერიული ზონა (პზ) – დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი;
კულტურული მემკვიდრეობის და გარემოს დამცავი ზონა	-
სპეციალური რეჟიმები	-
არქეოლოგიური უბანი/ობიექტი	-
ნორმატიული ფასის ზონა	N01.14.06.004.002 უბანი - სამგორი ქვეუბანი - ნავთლუხი ზონის ნომერი - 129 ნორმატიული ფასი - 34
გეგმარებითი შეზღუდვები	საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება თვითმფრინავის ასაფრენი ზოლის და რკინიგზის 30 მეტრიანი შეზღუდვის არეალი.

2 ტერიტორიის სამშენებლოგანვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები

2.1 გასათვალისწინებელი ქალაქის მშენებლობითის ტანდარტები

- საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის ბრძანება N1-1/251-ის მიხედვით მოქმედი ნორმა: СНиП 2.07.01-89 ქალაქის მშენებლობითი სტანდარტების და წესების შესახებ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური, 2016 წლის სარეკომენდაციო დოკუმენტი „განაშენიანების რეგულირების გეგმის სტანდარტი“.

2.1.1 გასათვალისწინებელი ტექნიკური რეგლამენტები:

- „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებაძალაში შევიდა 2017 წლის 01 იანვრიდან. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ III, IV კლასს დაქვემდებარებული შენობებისა და ნაგებობების დაგეგმარებაზე და მშენებლობაზე;
- „სამშენებლო ნორმების და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (36 01.01-09) – დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2009 წლის 7 ოქტომბრის №1-1/2284 ბრძნება.

2.2 ტერიტორიის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, გიორგი მდივანის ქუჩა N5, N5a, N9-ში, მოსკოვის გამზირ N31 ა-ში, (ნაკვეთი N7/29), (ნაკვეთი N7/33), ცენტრალურ ისანი-სამგორში (ნაკვ.07/041), არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

საპროექტო არეალის ჯამური ფართობი შეადგენს 29159 კვ.მ-ს;

სადაც გათვალისწინებულია კერძო (ს/კ №01.17.11.007.019; 01.17.11.007.009;
01.17.11.007.065; 01.17.11.007.055; 01.17.11.007.054;; 01.17.11.007.036; 01.17.11.007.007;
01.17.11.007.006), სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ

№01.17.11.007.602; 01.17.11.007.008) ჯამური ფართობით 27074კვ.მ და დაურეგისტრირებელი
ტერიტორია ფართობით 2085კვ.მ;

საპროექტო ტერიტორია ხასიათდება მცირედი რელიეფით, ჩრდილოეთიდან
სამხრეთის მიმართულებით. დღეის მდგომარეობით ტერიტორიაზე განთავსებულია
სასაწყობე და ადმინისტრაციული ობიექტები. მას გარშემო ესაზღვრება კერძო, საქართველოს
რკინიგზის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. საპროექტო
არეალის აღმოსავლეთით ტერიტორია ვითარდება საცხოვრებელი ფუნქციით.

ტერიტორიასთან სამანქანო კავშირი ხორციელდება ჩრდილოეთით მოსკოვის
გამზირის გავლით გ. მდივანის ქუჩიდან.

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით ტერიტორია განთავსებულია
პერიფერიულ ზონაში (პზ).

2.3 შენობა-ნაგებობისარქიტექტურულ-

კომპოზიციურიგადაწყვეტადაკავშირიმიმდებარეგარემოსთან

- საპროექტო ობიექტები დაგეგმარდეს გრგ პროექტით განსაზღვრულ სექტორების საზღვრებში
(მათი არსებობის შემთხვევაში);
- დაგეგმარების დროს მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული მომიჯნავე ნაკვეთების
განვითარების შესაძლებლობები და ინტერსები;
- დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებული იქნეს საქვეითე კავშირები მომიჯნავე
კვარტლებთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა N14-39
დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების
გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 26-ის (მიწის ნაკვეთის
გამიჯვნა) თანახმად, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები შემდგომში
იქნება მშენებლობის ნებართვის გაცემის საფუძველი;
- გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ავტოსადგომები მოეწყოს უმეტესად
მიწისქვეშ.

**2.4 სივრცითმოცულობითიგადაწყვეტა; მიწისნაკვეთზეარსებულიშენობა-
ნაგებობებისდანგრევადაგადატანა, ანმათისივრცით-
გეგმარებითიმოწყობისშეცვლა**

- აღქმის წერტილები, დომინანტები და სილუეტი განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის სტადიაზე მშენებლობის განხორციელების ეტაპებსა და რიგითობაში ერთ-ერთ პირველ ეტაპად ასახეთ არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გადატანა.
- ინდივიდუალური პროექტის შეთანხმების სტადიაზე შესაბამისი პროექტის გათვალისწინებით მოხდეს ტერიტორიაზე არსებული შენობების დემონტაჟის პროექტის შეთანხმება.
- შენობა-ნაგებობისათვის ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობის გამოთვალა მოხდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დაგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად;

**2.5 მიწისნაკვეთზეშენობა-
ნაგებობათაგანთავსებისპირობებიდამაქსიმალურისიმაღლეებისგანსაზღ
ვრა**

- მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ V თავისთანახმად;
- ერთ მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის, განთავსების პირობები და მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ V თავის შესაბამისად;
- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე შენობის განთავსება და მათი მაქსიმალური სიმაღლეების განსაზღვრა მოხდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59-ე დადგენილების, 28-ე მუხლის შესაბამისად;
- ერთ სამშენებლო მიწის ნაკვეთზე რამდენიმე სხვადასხვა შენობის განთავსების შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოსახვითი სამეზობლო საზღვრ(ებ)ის და უკანა ეზოების დადგენა;
- L-ის მაქსიმალური საანგარიშო მნიშვნელობა სზ-1 და სზ-2 ტოლია 6 მეტრის, ხოლო ყველა სხვა საცხოვრებელ ზონაში – 20 მეტრის.
- მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრა მოხდეს საზოგადოებრივი საზღვრ(ებ)ის მხრიდან,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო**

- ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში მოხდეს ყველა სამეზობლო საზღვრ(ებ)იდან;
- გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე შენობათა განთავსების გეგმაზე დაიტანეთ სამეზობლო საზღვრის წარმოსახვითი მიჯნის ზონები და უკანა ეზოები.
- **საზოგადოებრივი საზღვარი, სამშენებლო მიწის ნაკვეთისათვის განისაზღვროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკურებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მუხლი 31-ის მე-9 პუნქტის, საპროექტო შენობებისთვის მაქსიმალური სიმაღლის დადგენამოხდეს საპროექტო გზების შუა ხაზიდან.**

მაქსიმალურად დასაშვები სიმაღლე: განისაზღვრება ფორმულით $H=L/Y$, სადაც;

H - განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის ნიშნულს;

L წარმოადგენს დაშორებას შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეს ან/და სამეზობლო საზღვარს შორის.

Y = წარმოადგენს კოეფიციენტს, რომლის მნიშვნელობაა:

- ა) 0.35 – დასახლებათა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონებისათვის;
- ბ) 0.25 – სამრეწველო ზონებისათვის;
- გ) 0.4 ყველა სხვა ზონისათვის.

- 2.6 მოთხოვნები მოთხოვნების დაცვაზე, რომელთა ანტერესებსაცეხებატერიტორიის სამშენებლო განვითარება
(საკადასტრო რეგისტრაციული მოთხოვნების გაერთიანება-
შერწყმაახალი სერვიტუტების წარმოქმნა,
ბუნებრივი განვითარება, ჩაუხედავობა დასხვა) ინსოლაცია,

- ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე;
- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;
- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად;
- გრგ-ს პროექტის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრ(ებ)ის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დასამტკიცებლად მომართვა უნდა განახორციელოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა ან მინდობილმა პირმა, შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით;
- საჭიროების შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით

დამოწმებული თანხმობა;

- საჭიროების შემთხვევაში დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები, გრგ შემდგომ სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს თანხმობა შესაბამისი სამსახურიდან;
- მიწის ნაკვეთების იმ მესაკუთრეების თანხმობები, რომელთა საკუთრებაზე გაივლის დაგეგმილი საგზაო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა;
- გრგ-ს პროექტის დამტკიცების სტადიაზე წარმოდგენილი იქნესგრგ-ს პროექტში შემავალი მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა - ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან;
- თანხმობების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და შემდგომში განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცდება იმ პირობით, რომ აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი ძალაში შევა, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე საპროექტო არეალში შემავალი ყველა მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

2.7 ტერიტორიაზეარსებულიმწვანენარგავებისშენარჩუნება, ტერიტორიისკეთილმოწყობადაგარემოსდაცვისპირობებისგანსაზღვრა

- მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები, ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან;
- წარმოდგენილი იქნეს საპროექტო ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი და გამწვანების დენდროლოგიური პროექტი;
- განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;
- მოეწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად;
- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად, შესაბამისი ტექნიკური სპეციფიკის გათვალისწინებით, რომელიც უნდა დაზუსტდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით და შეთანხმებულ იქნას შპს „თბილსერვის ჯგუფთან“;

2.8 მშენებლობისნებართვისგაცემისადასანებართვოპირობებისშესრულების საჯაროობა

- ნებართვის გაცემის თითოეული სტადიაზე განცხადების შეტანის მომენტისათვის უზრუნველყოფილი იქნეს შესაბამის ობიექტზე (შენობა-ნაგებობაზე), თვალსაჩინო ადგილას საინფორმაციო დაფის განთავსება. სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსებობა, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი. საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ. დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება;
- საპროექტო ტერიტორიის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საჯაროობის უზრუნველყოფას („საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქითმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, მუხლი 6; საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების მირითადი დებულებები“ მუხლი 24) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მუხლი 9, პუნქტი 17-ის შესაბამისად.

2.9 ტერიტორიისდამისიგეგმარებითიარეალისსაინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტოდასოციალურიინფრასტრუქტურითუზრუნველყოფა

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;
- დაგეგმილი განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი რეგლამენტების მიხედვით დაგეგმარებული საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით;
- დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო შენობების განთავსების ნორმები, ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად (წყალსადენი, გაზსადენი, ელექტრო სადენი, წყალარინების სადენი და სხვა);
- გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საყოფაცხოვრებო და სანიაღვრე წყალარინების მომსახურების უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი უწყებებიდან (თანდართული ოფიციალური წერილით - მხოლოდ საპროექტო ტერიტორიისთვის), სადაც დატანილი იქნება მათი ტრასა შესაბამისი პარამეტრების ცხრილით და განვითარების პოტენციალით, მირითადი და ლოკალური ხაზობრივი ნაგებობები შესაბამისი კატეგორიის ხაზობრივი ნაგებობა და დაცვის ზოლი, პარამეტრების ცხრილი;

- მიწის ნაკვეთის გამიჯვნისას, ცალკეული ნაგებობებისთვის გათვალისწინებული იქნეს თითოეული მიწის ნაკვეთის საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით სათანადო უზრუნველყოფა, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით;
- **გრგ-ს შეთანხმების სტადიაზეს „თელასის“ 2022 წლის 14 ივლისის N0714/301/22 წერილით დაგიდგინდათ პირობები და შეზღუდვის არეალები. გთხოვთ, ყველა შესაბამის გეგმაზე დაიტანოთ საპარტო ელ.ხაზისთვის და 6-10 კვ-ის საკაბელო ელ.გადამცემი ხაზისთვის დადგენილი შეზღუდვის არეალები.**
- საპროექტო არეალში გადის ხაზოვანი ნაგებობები: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საკუთრებაში არსებული მილსადენი (ს/კ: N01.01.834 მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი); შპს „გაზმშენის“ საკუთრებაში არსებული მილსადენი (ს/კ: N01.03.504 გაზსადენი) და შპს „სუპერგაზი-იტალიას“ საკუთრებაში არსებული მილსადენი (ს/კ: N01.01.440 გაზსადენი); ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გრგ-ს შეთანხმების სტადიაზე წარმოსადგენია შესაბამისი უწყებების პოზიცია ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით, სადაც განსაზღვრული იქნება სამშენებლოდ შეზღუდვის არეალი, ზომების მითითებით.
- **გრგ-ს შეთანხმების ეტაპზე, წარმოადგინეთ საპროექტო ტერიტორიის ერთიანი გეგმა, სადაც დატანილი იქნება მიმდებარედ არსებული ყველა კომუნიკაცია შეზღუდვის არეალების და ზომების მითითებით.**

3 ტერიტორიის სამშენებლო განვითარებისპარამეტრები;

3.1 საპროექტოტერიტორიისარეალი

საპროექტო არეალის ჯამური ფართობია 29159 კვ.მ;

საპროექტო არეალში გათვალისწინებულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ №01.17.11.007.019; 01.17.11.007.009; 01.17.11.007.065; 01.17.11.007.055; 01.17.11.007.054;; 01.17.11.007.036; 01.17.11.007.007; 01.17.11.007.006), სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები (ს/კ №01.17.11.007.602; 01.17.11.007.008) ჯამში ფართობით: 27074კვ.მ და დაურეგისტრირებელი ტერიტორია ფართობით: 2085კვ.მ;

3.2 არსებული ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები

განაცხადის წარმოდგენის და განხილვის პერიოდში მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული გენერალური გეგმის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე დადგენილი იყოფუნქციური ზონები: სამრეწველო ზონა-1 (ს-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

სამრეწველო ზონა (ს) — მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ სამრეწველო გამოყენების ან/და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე ნივთიერებების მართვისათვის განკუთვნილ ტერიტორიებს; სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტრონურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
3-1	-	კოეფიციენტი	
3-2	-	კოეფიციენტი	
3-3	0,1	კოეფიციენტი	
საცხოვრებელი სიმჭიდროვე			ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე			მეტრი

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) — სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ტრანსპორტის/ქვეითის გადაადგილებისათვის განკუთვნილი გზებს/ქუჩებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს, გზაგამტარებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს, ტროტუარებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს/ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების საგენტო**

კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, მიწისქვეშა ნაგებობებს/შენობა-ნაგებობებს (მათ შორის მიწისქვეშა ავტოსადგომებს), ასევე თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უძრავ ქონებაზე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრულ პარკირების ადგილებს;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები

კ-1	-	კოეფიციენტი
კ-2	-	კოეფიციენტი
კ-3	0,1	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის	მინიმალური ფართობი	კვ.მ
ფართობი	მინიმალური სიგანე	მეტრი
და ზომები	მინიმალური სიღრმე	მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი
შენიშვნა	*	* კოეფიციენტი ეხება: ტროტუარის მიმდებარე გაზონებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს და მსგავს სივრცეებს და მათი გათვალისწინება სავალდებულოა ქუჩების, გზების, გზატკეცილების მშენებლობისას/რეკონსტრუქციისას სადაც ეს ტექნიკურად არის შესაძლებელი

3.3 დასაშვებიფუნქციურიზონის სახეობები

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ შესაბამისად.

